




სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 ნოე ქამბაძე
15 ოქტომბერი 2015 წელი

შპს „დეენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 15/129

2012 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 1 იანვარი

შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	7
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	8
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	13
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	13
2012 წლის ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	15
2013 წლის ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	21
2014 წლის ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	26

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ (შემდგომში „მედიცინის ცენტრის“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის, 2013 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: მოგება-ზარალის ანგარიშგებას¹; საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას; ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ბასს-1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შესაბამისად და ბუღალტრული აღრიცხვის ბასს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების) მიხედვით წარმოებაზე; ასევე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების და აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს 2010 წლის 29 დეკემბრის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ 100%-იანი წილით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბიზნეს-გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №01/104 ბრძანების შესაბამისად წარმოებაზე.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას

¹ შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ მიერ 2013 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება წარმოდგენილი არ იყო.

შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წლის 31 დეკემბრის, 2013 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მედიცინის ცენტრს უზუსტოდ და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმები. კერძოდ: ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება და საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.

ფართის კეთილმოწყობის ხარჯები

წლების განმავლობაში შენობაში, რომელშიც ყოველგვარი საფუძვლის, კერძოდ: საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის, იჯარის შესახებ ხელშეკრულების, შენობის დროებით გადაცემაზე ბრძანების გარეშე ფაქტობრივად განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა მედიცინის ცენტრი, ფართის კეთილმოწყობის ხარჯები არასწორად აღირიცხებოდა ბუღალტრულ ანგარიშზე 2190 - „იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა“². 2012 წლის დასაწყისში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 30,875.00 ლარი³. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული შენობა (ფართი) არ ირიცხებოდა მედიცინის ცენტრის ბალანსზე, არამედ წარმოადგენდა აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ აქტივს, 2012 წლის ბოლოს აღნიშნული ხარჯები 30,875.00 ლარის ოდენობით უსაფუძვლოდ იქნა გადატანილი ბუღალტრულ ანგარიშზე 7499 „საერთო ადმინისტრაციული ხარჯები“⁴, რამაც გამოიწვია ზარალი. ზარალის დაფარვა კი განხორციელდა მედიცინის ცენტრის სარეზერვო კაპიტალიდან.

ცვეთის დარიცხვა

2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია (ცვეთა) ნაცვლად 5,680.56 ლარისა, წარმოდგენილია 6,927.00 ლარის ოდენობით. 2014 წელს ამორტიზაციის (ცვეთის) თანხა, ნაცვლად 7,099.44 ლარისა, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 7,195.06 ლარის ოდენობით.⁵

² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები; საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 12.08.1999 წლის N1 დადგენილება „ქართულ ენაზე თარგმნილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“;

³ 2012 წლის ბალანსში აღნიშნული თანხა ასახული იყო როგორც „სხვა ძირითადი საშუალებები“;

⁴ 2012 წლის მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით აღნიშნული თანხა ასახული იყო „სხვა საწარმოო ხარჯები“-ს მუხლში.

⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტები.

ბუღალტერიიდან მიღებული ინფორმაციით ზემოაღნიშნული ხარვეზები გამოწვეულია ტექნიკური შეცდომით.

აქტივების ჩამოწერა

2012 წელს საკონტროლო მონაცემებით (პირველადი დოკუმენტებით, ბრუნვითი უწყისებით) მოხდა 4,831.00 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე აქტივის ჩამოწერა, თუმცა 2012 წლის ბალანსის ძირითადი საშუალებების მოძრაობის ფორმაში ასახული იქნა 6,581.00 ლარის აქტივის გასვლა (ჩამოწერა). შესაბამისად ბალანსში ძირითადი საშუალებების ნაშთი არასწორად იქნა შემცირებული 1,750.00 ლარით⁶.

ფინანსური ანგარიშგება

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების საბოლოო ნაშთებში დაფიქსირებული თანხები, რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდა 2013 წლის საწყის ნაშთებს. 2012 წლის ბალანსის საბოლოო ნაშთი 6,363.00 ლარით ნაკლები იყო 2013 წლის საწყის ნაშთებთან შედარებით⁷. კერძოდ:

	N	კოდი (სტრიქონი)	2012 წლის ბოლოს	2013 წლის დასაწყისში	სხვაობა
აქტივი					
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		180	11238.00	9496.00	-1742.00
გრძელვადიანი აქტივები					
მანქანა-დანადგარები	2150	220	38720.00	38744.00	24.00
ოფისის აღჭურვილობა	2160	230	13521.00	2754.00	-10767.00
სხვა ძირითადი საშუალებები	2190	250	0.00	18848.00	18848.00
სულ ჯამი:			63479.00	69842.00	6363.00
პასივი					
საკუთარი კაპიტალი					
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410	530	34725.00	33778.00	-947.00
გაუნაწილებელი მოგება	5310	550	36210.00	36505.00	295.00
დაუფარავი ზარალი	5320	560	-35738.00	-28723.00	7015.00
სულ ჯამი:			35197.00	41560.00	6363.00

ბუღალტერიიდან მიღებული ინფორმაციით აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ 2013 წლის საწყისი ნაშთები აღრიცხული იქნა 2012 წლის ბრუნვითი უწყისების ნაშთების მიხედვით. მაშინ როდესაც 2012 წლის ბალანსის საბოლოო ნაშთები არ შეესაბამებოდა 2012 წლის ბრუნვითი უწყისების საბოლოო ნაშთებს.

ბალანსის დანართი ფორმები

2012 წლის ბალანსის დანართი ფორმა „ძირითადი საშუალებების მოძრაობის“ ნაშთები განსხვავდებოდა ამავე წლის ბალანსის ნაშთებისაგან⁸. კერძოდ:

⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები .

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტები.

წლის ბოლოს „ძირითადი საშუალებების მოძრაობაში“ მანქანა დანადგარების მოძრაობის ნაშთი იყო 38,661.00 ლარი, ხოლო ბალანსის მიხედვით ფიქსირდებოდა 38,720.00 ლარი. ოფისის აღჭურვილობის მოძრაობის ნაშთი შეადგენდა 13,752.00 ლარს, ხოლო ბალანსის მიხედვით ფიქსირდებოდა 13,521.00 ლარი.

2013 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების წლიურ ანგარიშგებაში დაუფარავი ზარალის ნაშთი გამოქვითული იყო 28,582.00 ლარის ოდენობით, ხოლო ბალანსში ნაჩვენები იყო 28,723.00 ლარი.

2014 წლის ბალანსის დანართი ფორმა „ძირითადი საშუალებების მოძრაობის“ მიხედვით სხვა ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთი ფიქსირდებოდა 23,012.00 ლარის ოდენობით, ხოლო ბალანსში ნაჩვენები იყო 22,393.00 ლარი. ამავე წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების წლიურ ანგარიშგებაში მიღებული რეზერვების საწყისი ნაშთი შეადგენდა 5,143.00 ლარს, ხოლო ბალანსში ფიქსირდებოდა 5,196.00 ლარი.

	ბალანსი	დანართი ფორმა
2012 წელი		ძირითადი საშუალებების მოძრაობა
მანქანა-დანადგარები	38720,00	38661,00
ოფისის აღჭურვილობა	13521,00	13752,00
2013 წელი		საკუთარ კაპიტალში ცვლილებების წლიური ანგარიშგება
დაუფარავი ზარალი	28723,15	28582,00
2014 წელი		ძირითადი საშუალებების მოძრაობა
სხვა ძირითადი საშუალებები	22393,00	23012,00
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5196,00	5143,00

აღნიშნული შეუსაბამოები დადასტურდა აუდიტის ობიექტის მხრიდან, თუმცა ხარვეზების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით რაიმე სახის ახსნა-განმარტება წარმოდგენილი ვერ იქნა.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებებზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად ასახავს შპს „მედიცინის ცენტრის“ ფინანსურ მდგომარეობას 2012, 2013 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

⁸ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-7 პუნქტები .

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

მოგების დეკლარაციები

შემოსავლების სამსახურში გადაგზავნილ 2012 წლის მოგების დეკლარაციაში ნაჩვენები ნაშთები რიგ შემთხვევაში არ ემთხვეოდა ამავე წლის ბალანსის ნაშთებს, კერძოდ:

დეკლარაციაში ნაჩვენები იყო, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საწყისი ნაშთი შეადგენდა 2,518.00 ლარს, ხოლო საბოლოო ნაშთი - 5,416.00 ლარს. თუმცა ბალანსის მიხედვით საწყისი ნაშთი იყო 9,798.00 ლარი, საბოლოო ნაშთი კი - 11,238.00 ლარი. აღნიშნული ნაშთების სხვაობა გამოწვეული იყო იმით, რომ დეკლარაციაში ჰუმანიტარული ტვირთის მოძრაობა არ აღრიცხულა;

ასევე 2012 წლის დეკლარაციაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბოლოო ნაშთი არ ემთხვეოდა 2013 წლის მოგების დეკლარაციაში ასახულ მარაგების საწყის ნაშთს. კერძოდ, 2012 წლის საბოლოო ნაშთში აისახა 5,416.00 ლარი, ხოლო 2013 წლის საწყის ნაშთში - 9,496.00 ლარი;

2013 წლის მოგების დეკლარაციაში არ იყო მითითებული წინა წლის ზარალი 5,656.00 ლარი, შესაბამისად 2014 წლის დეკლარაციაში მიღებული მოგებიდან არ იქნა გამოქვითული 2012 წლის ზარალის თანხა;

2012-2014 წლებში მოგების დეკლარაციებში ნაჩვენები საამორტიზაციო ანარიცხები შეცდომით იქნა აღრიცხული. კერძოდ: 2012 წლის დეკლარაციაში 11,402.56 ლარის ნაცვლად აისახა 12,040.00 ლარი; 2013 წლის დეკლარაციაში 9,122.05 ლარის ნაცვლად აისახა 6,373.00 ლარი; 2014 წლის დეკლარაციაში 7,539.08 ლარის ნაცვლად აისახა 5,077.00 ლარი;

არაფინანსური აქტივები (ინვენტარიზაცია)

მედიცინის ცენტრის დირექტორის 2015 წლის 14 ივლისის N01/9 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 21 სხვადასხვა დასახელების მცირეფასიანი ინვენტარის ზედმეტობა, რომლის ღირებულება ვერ დადგინდა. აღნიშნული ფასეულობები წარმოადგენდა მარაგებს ექსპლუატაციაში, რომლებიც შესაბამისი ხელშეკრულებით იყო გადაცემული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. ისინი ბალანსში არ აღრიცხულა როგორც აქტივები.

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ (შემდგომში „მედიცინის ცენტრის“) 2012-2014 წლებში გაწეული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ანგარიშების მომზადებისა და მისი სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს თავისი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ მიერ 2012-2014 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მედიცინის ცენტრის მიერ 2012-2014 წლებში გაწეული საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

შენობაში განთავსების კანონიერება

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“ 2012-2014 წლებში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, კალოუბნის № 16-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის პერიოდში აღნიშნული შენობა (ფართი) ირიცხებოდა აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე, მედიცინის ცენტრი ყოველგვარი საფუძვლისა და ანაზღაურების გადახდის გარეშე განაგრძობდა ზემოაღნიშნული ფართის გამოყენებას საკუთარი შემოსავლების მისაღებად. აღსანიშნავია, რომ წინა აუდიტის დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, საკითხი სამართლებრივად კვლავაც მოუგვარებელი იყო⁹;

⁹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი; 36-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

რეინვესტირება

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელობის ინფორმაციით:

2012 წელს ცენტრიდან თანხის რეინვესტირების მოთხოვნა არ ყოფილა, ვინაიდან არ დაფიქსირებულა მოგება.

2013 წლის ფინანსურმა მოგებამ შეადგინა 8,170.00 ლარი. მედიცინის ცენტრმა რეინვესტირების ნებართვის თხოვნით 14.03.2014 წლის №12 წერილით მიმართა აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს (დამფუძნებელს, პარტნიორს), რაზეც წერილობითი პასუხი დამფუძნებლისგან არ ყოფილა. მიუხედავად ნებართვის არარსებობისა¹⁰, ზემოაღნიშნული თანხით შეძენილ იქნა: 6,301.00 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, 596.00 ლარის ღირებულების კონდიციონერი და დანარჩენი თანხით - 1,273.00 ლარით სხვადასხვა დასახელების აქტივები.

2014 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 28,958.00 ლარი. აღნიშნული თანხის რეინვესტირების ნებართვის გაცემის თხოვნით აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (დამფუძნებელს, პარტნიორს) მედიცინის ცენტრმა მიმართა 10.03.2015 წლის № 19 წერილით. აღნიშნულთან დაკავშირებით დამფუძნებლისაგან საპასუხო წერილი არ შემოსულა. აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის 2015 წლის 05 მაისს № 333 წერილით მედიცინის ცენტრს დაევალა 2014 წლის მთლიანი წმინდა მოგების გადარიცხვა ბიუჯეტში (შემოსულობების სახაზინო კოდი - 300913019). აღნიშნულ წერილს, თან ერთვოდა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 100% წილით შექმნილი საწარმოების (სამედიცინო დაწესებულებების) 2014 წლის მოგების რეინვესტირების შესახებ 30.04.2015 წლის № 03/88 ბრძანება, სადაც შპს “დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი” არ იყო მოხსენებული. ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მიუხედავად საზოგადოების დამფუძნებლის გადაწყვეტილებისა¹¹, მედიცინის ცენტრს 2014 წლის წმინდა მოგების თანხა - 28,985.00 ლარი ბიუჯეტში (შემოსულობების სახაზინო კოდი - 300913019) არ გადაურიცხავს და 2015 წლის 11 ივნისს შეიტანა სარჩელი აფხაზეთის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა, მედიცინის ცენტრის მიერ მიღებული წლიური მოგების განაწილება (რეინვესტირება) განხორციელებულიყო საზოგადოების დამფუძნებლის შესაბამისი გადაწყვეტილების (ბრძანების) და არა წერილის საფუძველზე. აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 18.05.2015 წლის № 03/118 ბრძანებით ცვლილება შევიდა 30.04.2015 წლის №03/88 ბრძანებაში, სადაც მედიცინის ცენტრს დაეკისრა ფინანსური მოგების გადარიცხვა ბიუჯეტში 32,659.00 ლარის ოდენობით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მედიცინის ცენტრის მიერ მოხდა სარჩელის დაზუსტება, რასთან დაკავშირებითაც აუდიტის ჩატარების

¹⁰ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 04 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის წესდების მე-4 მუხლის, 4.3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი; ბასს 1 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ (მოგება-ზარალის ანგარიშგება);

¹¹ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 04 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის წესდების მე-4 მუხლის, 4.3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი.

მომენტისათვის მიმდინარეობდა სასამართლო დავა. რაც შეეხება რეინვესტირებისათვის განკუთვნილ თანხას, ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით ის განთავსებულია თი-ბი-სი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე GE13TB7737636020100005.

სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების გეგმის წარდგენა

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ მედიცინის ცენტრი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა დაგვიანებით¹² მედიცინის ცენტრის დირექტორის 17.02.2012 წლის №19 წერილის საფუძველზე, რომლითაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს წარედგინა განაცხადი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის მოთხოვნით და 2012 წლის შესყიდვების გეგმა.

2013 წლის შესყიდვების გეგმა რეგისტრირებული იქნა 30.04.2013 წელს, ხოლო 2014 წლის შესყიდვების გეგმის რეგისტრაციის თარიღი იყო 20.02.2014 წელი.¹³

შესყიდვების გეგმის ფაქტიური შესრულება

2012 წლის შესყიდვების გეგმის სავარაუდო ჯამური თანხა შეადგენდა 32,145.00 ლარს, მისი დაზუსტება ან კორექტირება არ მომხდარა, ფაქტობრივად კი განხორციელებული შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 36,572.12 ლარი.

2013 წლის შესყიდვების გეგმის მიხედვით შესყიდვების დაზუსტებულმა თანხამ (დაზუსტება განხორციელდა 09.07.2015 წელს) შეადგინა 34,440.00 ლარი, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დადგინდა, რომ წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ჯამური ღირებულება შეადგენდა 41,759.64 ლარს.

2014 წლის შესყიდვების გეგმით შესყიდვების დაზუსტებულმა თანხამ (დაზუსტება განხორციელდა 27.07.2015 წელს) შეადგინა 34,340.00 ლარი, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დადგინდა, რომ წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ჯამური ღირებულება შეადგენდა 75,586.50 ლარს.¹⁴

შესყიდვების ხელშეკრულებების საიტზე აქტირთვა

აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ ცენტრის მიერ 2012 წელს დადებული 51 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებიდან ელექტრონულ სისტემაში ჯამში აიტვირთა მხოლოდ 25 ხელშეკრულება (16.05.2012-ში 10 ცალი, 17.05.2012-ში 9 ცალი და 20.09.2012 - ში 6 ცალი). 2013 წელს დადებული 33 ხელშეკრულებიდან შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ჯამში აიტვირთა 20 ხელშეკრულება (16.07.2013-ში 4 ცალი, 31.07.2013-ში 8 ცალი,

¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ მე - 5 მუხლის პირველი პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი;

¹³ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე - 4 პუნქტი;

¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი;

03.08.2013-ში 5 ცალი და 27.07.2015-ში 3 ცალი).¹⁵ 2014 წელს დადებული 25 ხელშეკრულებიდან ელექტრონულ სისტემაში ჯამში აიტვირთა 20 ხელშეკრულება (16.12.2014-ში 1 ცალი, 21.07.2015-ში 7 ცალი, 23.07.2015 - ში 1 ცალი, 27.07.2015-ში 5 ცალი და 28.07.2015-ში 6 ცალი).¹⁶

მონეტარული ზღვრების დაცვა

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით, დადგინდა, რომ აუდიტის პერიოდში არ იქნა დაცული მონეტარული ზღვრები და ადგილი ჰქონდა ტენდერების ნაცვლად გამარტივებული შესყიდვების (ერთ პირთან მოლაპარაკება) განხორციელებას. კერძოდ:

2014 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელდა 7 ხელშეკრულების გაფორმება კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარების (CPV – 30200000) შესაძენად, რომელთა სახელშეკრულებო ჯამურმა თანხამ შეადგინა 6,453.85 ლარი, ხოლო ფაქტიურად გადახდილმა - 6,448.88 ლარი.¹⁷

შესყიდვების ხელშეკრულებები

2012 წლის განმავლობაში განხორციელდა 71 სახელმწიფო შესყიდვა. აქედან 29 შესყიდვის ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული დანაყოფის კოდი (CPV), 26 შესყიდვის ხელშეკრულება არ იყო ატვირთული ელექტრონულ სისტემაში, ხოლო 20 შესყიდვა ჯამური თანხით 3,789.91 ლარი, განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.

2013 წელს განხორციელებულ 41 სახელმწიფო შესყიდვაზე, 14 შემთხვევაში არ იყო მითითებული დანაყოფის კოდი (CPV), 13 შესყიდვის ხელშეკრულება არ ყოფილა ატვირთული ელექტრონულ სისტემაში. განხორციელებულ 8 შესყიდვაზე ჯამური თანხით 1,580.37 ლარი არ გაფორმებულა შესყიდვების ხელშეკრულება.

2014 წელს განხორციელებულ 38 სახელმწიფო შესყიდვაზე, შესყიდვების ხელშეკრულებებში 11 შემთხვევაში არ იყო მითითებული დანაყოფის კოდი (CPV), 4 ხელშეკრულება არ იყო ატვირთული ელექტრონულ სისტემაში, 13 შესყიდვა განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.¹⁸

¹⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მუხლი 5, მე-2 პუნქტი;

¹⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მუხლი 5, პირველი და მე-4 პუნქტები;

¹⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული შესყიდვის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 04 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის წესდების მე-5 მუხლის, 5.7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ მე - 19 მუხლის, პირველი პუნქტი და მე -6 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მე - 5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

მედიცინის ცენტრი ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ახდენდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) და აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 29 დეკემბრის № 01/104 ბრძანებით დადგენილი დანართების მიხედვით.

2012-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას არ იყო ნაწარმოები ბასს-ით მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების ფორმა; 2013 წელს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას ასევე არ იყო ბასს-ის მიხედვით ბალანსის დანართი ფორმა მოგება-ზარალის ანგარიშგება;

2012-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას არ იყო ნაწარმოები აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 29 დეკემბრის № 01/104 ბრძანებით დადგენილი დანართები, ბალანსის შემადგენელი ფორმები: ბიზნეს-გეგმების პროექტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, კორექტირების, შესრულების მონიტორინგის ვადები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები დანართი №1, მოგება-ზარალის გეგმის პროექტი დანართი №2.1.

ვადაგასული მედიკამენტების შენახვის შესახებ

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით და დადასტურებული ინფორმაციით დადგინდა, რომ ჰუმანიტარული გზით მიღებულ სხვა მედიკამენტებთან ერთად, ერთ ოთახში ინახებოდა ვადაგასული მედიკამენტი - „რელენზა“ 10 (ათი) ერთეული.¹⁹

მოწვეული აუდიტორები

ორგანიზაციაში ყოველწლიურად დამოუკიდებელი აუდიტორების დახმარებით ტარდებოდა აუდიტები. კერძოდ 2012 წელს აუდიტი ჩაატარა კომპანია “ბლექ სიი აუდიტმა” (მომსახურების ღირებულება 1,800.00 ლარი), 2013 წელს შპს “კაპიტალ ჯგუფმა” (მომსახურების ღირებულება-2,500.00 ლარი), ხოლო 2014 წელს - “აუდიტ კონსალტინგ 2008” (მომსახურების ღირებულება - 2,500.00 ლარი). აღსანიშნავია, რომ ჩატარებულ აუდიტებთან დაკავშირებით არ ყოფილა პარტნიორის (დამფუძნებლის) ბრძანება ან რაიმე სხვა სახის ოფიციალური დოკუმენტი ნებართვის შესახებ.²⁰

ხელფასები

2012 წელს მედიცინის ცენტრში ხელფასები გაიცემოდა ამბულატორიული დახმარების პროგრამით მიღებული შემოსავლებიდან 10.01.2012 წ. №01/2 ბრძანებით განსაზღვრული პროცენტებით. სადაზღვევო კომპანია „ალფას“ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით და სადაზღვევო

¹⁹ წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტი და მე-9 პუნქტის „ა“, „ა.ბ“ ქვეპუნქტები;

²⁰ აფხაზეთის ა.რ - ის ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 04 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის წესდების მე-4 მუხლის, 4.3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

კომპანია „არქიმედე გლობალ ჯორჯიას“ 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა) ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით. ერთ ვიზიტზე 11.01.2012წ ბრძ. №01/3 დადგენილი თანხით (ცვლილება განხორციელდა 29.11.2012 წლის ბრძანებით №01/26 და №01/27) და შიდა შემოსავლებით 23.03.2012 წლის № 01/12 ბრძანებით დადგენილი კალკულაციით.

2013 წელს ხელფასები გაიცემოდა ამბულატორიული დახმარების პროგრამით 05.01.2013 წლის №01/02 ბრძანებით განსაზღვრული პროცენტებით. ხოლო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლის შემდგომ ხელფასები გაიცემოდა ფიქსირებულად 30.04.2013 წლის №01/14 ბრძანებით, ცვლილება განხორციელდა 01.07.2013 წლის №01/17 ბრძანებით, დაფინანსების ზრდასთან დაკავშირებით. სადაზღვევო კომპანიების პროგრამით ერთ ვიზიტზე 11.01.2013 წლის №01/3 ბრძანებით დადგენილი თანხით (ცვლილება განხორციელდა დაფინანსების შემცირებასთან დაკავშირებით 30.04.2013 წლის №01/15 ბრძანებით) და შიდა სტანდარტით 19.02.2013 წლის №01/7 ბრძანებით დადგენილი კალკულაციით.

2014 წელს ხელფასები გაიცემოდა პროგრამული დაფინანსებით ყოველთვიურად ბრძანებებით ფიქსირებულად და შიდა სტანდარტით 19.02.2013 წლის №01/7 ბრძანებით დადგენილი კალკულაციით.

ზემოაღნიშნული სახელფასო განაკვეთები და კალკულაციები არ იყო შეთანხმებული პარტნიორთან (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან).²¹

თანხმობა აქტივების შეძენაზე

დოკუმენტბრუნვის, საბუღალტრო დუკუმენტაციის შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით, 2012 წელს 6,610.00 ლარის ღირებულების, ხოლო 2013 წელს 2,835.00 ლარის ღირებულების შეძენილ აქტივებზე, პარტნიორს - აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს შეძენის ნებართვის მოთხოვნით გაეგზავნა წერილები, რაზეც არანაირი პასუხი და ოფიციალური ნებართვა არ ყოფილა.

2013-2014 წელს შეძენილ 10,937.37 ლარის ღირებულების აქტივებზე შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის მიერ მოთხოვნის წერილი არ გაგზავნილა, შესაბამისად შესყიდვის ნებართვა პარტნიორის მიერ არ გაცემულა.²²

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გარდა, მედიცინის ცენტრის მიერ 2012-2014 წლებში გაწეული საქმიანობა, ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები:

საბრუნავი საშუალებები

მედიცინის ცენტრის ბალანსზე არსებული ქონებიდან 51 დასახელების 214 ერთეული 11,453.18 ლარის საწყისი ღირებულების მქონე აქტივები აღირიცხებოდა როგორც


²¹ აფხაზეთის ა.რ - ის ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 04 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის წესდების მე-5 მუხლის, 5.7 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

²² აფხაზეთის ა.რ - ის ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 04 აპრილის N11/49 ბრძანებით დამტკიცებული შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის წესდების მე-4 მუხლის, 4.3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი.

ძირითადი საშუალებები, მაშინ როდესაც აღნიშნული აქტივები მათი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენდნენ საბრუნავ საშუალებებს.²³

აუდიტის ჯგუფი:

უფ. აუდიტორი
ბონდო გასვიანი



აუდიტორ-ასისტენტი
მიხეილ გოდოლაძე



15 ოქტომბერი 2015 წელი

²³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

2012 წლის ბალანსი

აქტივი	ფ	კოდი (სტრიქონი)	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
მიმდინარე აქტივები				
ნაღდი ფული სალაროში	1100	10	1 976	4 038
ფული საბანკო ანგარიშზე	1200	20	3 570	3 532
მოკლევადიანი ინვესტიციები	1300	30		
მოთხოვნები მიწოდებიდან მომსახურებიდან	1410	40	14 422	18 036
მოთხოვნები მეკავშირის საწარმოს მიმართ	1430	41		
საექვო მოთხოვნების კორექტირება	1415	50		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	60	143	(43)
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	1460	70	-	
გადახდილი დღგ	3340	71	-	
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1480	80	-	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1490	90	-	
სულ მიმდინარე აქტივები		100	20 111	25 563
სასაქონლო მატერიალური მარაგები				
საქონელი	1610	110	-	
ნედლეული და მასალები	1620	120	1 323	7 440
დაუმთავრებელი წარმოება	1630	130		
მზა პროდუქცია	1640	140		
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1690	150	1 746	3 798
წინასწარ გაწეული ხარჯები	1700	160		
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	170	6 729	
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		180	9 798	11 238
გრძელვადიანი აქტივები				
მიწის ნაკვეთი	2110	190	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა	2120	200		
შენობა-ნაგებობები	2130	210		
მანქანა-დანადგარები	2150	220	41 160	38 720
ოფისის აღჭურვილობა	2160	230	19 933	13 521
სატრანსპორტო საშუალებები	2180	240		
სხვა ძირითადი საშუალებები	2190	250	30 875	
გრძელვადიანი მოთხოვნები	2300	260		
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340	270		
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	280		
არამატერიალური აქტივები	2500	290	620	531
სულ გრძელვადიანი აქტივები:		300	92 588	52 772
სულ აქტივები:		310	122 497	89 573

პასივი	კოდი	კოდი (სტრიქონი)	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	310	2 197	6 046
მიღებული ავანსები	3120	320		
გადასახდელი ხელფასები	3130	330	13 431	8 914
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3170	331		
მოკლევადიანი სესხები	3210	340		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3230	350		
გადასახდელი მოგების გადასახდელი	3310	360	(801)	(801)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	370	(5 201)	2 431
გადასახდელი დღგ	3330	380		
გადასახდელი აქციზი	3350	390		
სოციალური გადასახდელი	3370	400		(370)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	410	(190)	(145)
გადასახდელი პროცენტები	3410	420		
გადასახდელი დივიდენდები	3420	430		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190	440		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		450	9 436	16 075
გრძელვალვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4100	470		
გადავადებული მოგების გადასახადი	4210	480	5 115	2 673
ანარიცხები	4300	490		
გადავადებული შემოსავლები	4410	491		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220	500		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		510	5 115	2 673
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	5100	520	29 407	29 407
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410	530	34 725	34 725
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	5490	540	6 732	6 221
გაუნაწილებელი მოგება	5310	550	37 082	36 210
დაუფარავი ზარალი	5320	560		(35 738)
სულ საკუთარი კაპიტალი		570	107 946	70 825
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		580	122 497	89 573

2012 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება

N	მაჩვენებლების დასახელება	კოდი	შემოსავლები	ხარჯები
1	ამონაგები	10	218 323	X
2	რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულება	20	X	
3	საერთო მოგება (ზარალი)	30	218 323	-
4	კომერციული ხარჯები	40	X	
5	ადმინისტრაციული ხარჯები	50	X	223 185
6	სხვა საწარმოო შემოსავლები	60		X
7	სხვა საწარმოო ხარჯები	70	X	30875
8	ფინანსური დანახარჯები	80	X	
9	შემოსავლები ფინანსური დაბანდებებიდან და პროცენტებიდან	90		X
10	მოგება (ზარალი) ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან	100		
11	გაუთვალისწინებელი შემოსავლები	110		X
12	გაუთვალისწინებელი ხარჯები	120	X	
13	წინა წლების აკუმულირებული ზარალის დაფარვა	121	X	
14	მოგება დაბეგვრამდე	130	(35 737)	X
15	მოგების გადასახადი	140	X	-
16	საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	150	(35 737)	X

2012 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

N	N	მაჩვენებლები	თანხა
1	1	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
2	1.1.	ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში +	5 546,00
3	1.2.	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები +	218 323,00
4	1.3.	მიმწოდებელსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები -	(189 152,00)
5	1.4.	გადასახდელი პროცენტები -	
6	1.5.	გადასახდელი გადასახადები -	(27 865,00)
7	1.6.	გაუთვალისწინებელი შემოსავლები +	
8	1.7.	გაუთვალისწინებელი ხარჯები -	
9		წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6 852,00
10	2	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
11	2.1.	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით -	
12	2.2.	ძირითადი საშუალებების შეძენა -	(4 828,00)
13	2.3.	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი +	
14	2.4.	მიღებული პროცენტები +	
15	2.5.	გადასახდელი პროცენტები -	
16	2.6.	მიღებული დივიდენდები +	
17		წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4 828,00)
18	3	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
19	3.1.	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად +	
20	3.2.	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან +	
21	3.3.	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება -	
22	3.4.	გადახდილი დივიდენდები -	
23		წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-
24		ფულადი სახსრების წმინდა ზრდა (შემცირება)	2 024,00
25		ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	7 570,00

2012 წლის ძირითადი საშუალებების მოძრაობა

N	მაჩვენებელი	კოდი	ნაშთი წლის დასაწყისში	მიღებული ა სულ	გასულია სულ	დაერიცხა ცვეთა	ნაშთი წლის ბოლოს
1	2	3	4	5	6		7
1	მიწის ნაკვეთი	10					
3	შენობა-ნაგებობები	20					
4	მანქანა-დანადგარები	30	41 160	3 036	1 750	3 785	38 661
5	ოფისის აღჭურვილობა	40	19 933	1 792	4 831	3 142	13 752
6	სატრანსპორტო საშუალებები	50	-				-
7	სხვა ძირითადი საშუალებები	60	30 875		30 875		-
8	სულ ძირითადი საშუალებები	70	91 968	4 828	37 456	6 927	52 413
9	დაუმთავრებელი მშენებლობა	80					-
X	სულ ძირითადი საშუალებები	X	91 968	4 828	37 456	6 927	52 413

ბასს#1 მიხედვით							
2012 წლის საკუთარ კაპიტალში ცვლილებების წლიური ანგარიშგება							/ლარი/
	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გადაფასე ბის რეზერვი	მიღებული რეზერვები	დაგროვილი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	29 407			34 725	37 082	6 732	107 946
ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში							-
ნაშთი ცვლილებების შემდეგ	29 407	-	-	34 725	37 082	6 732	107 946
ქონების გადაფასებით მიღებული ნამეტი							-
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული ნამეტი							-
ქონების გადაფასებით მიღებული დანაკლისი							-
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული დანაკლისი							-
სავალუტო კურსთაშორის სხვაობა							-
მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აუღიარებელი წმინდა შემოსულობანი და ზარალი					(873)	(511)	(1 384)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება					(35 737)		(35 737)
დივიდენდები							-
სააქციო კაპიტალის გამოშვება							-
ნაშთი 200 წლის 31 დეკემბერისათვის	29 407	-	-	34 725	472	6 221	70 825

2013
წლის ბალანსი

აქტივი	N	კოდი (სტრიქონი)	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
მიმდინარე აქტივები				
ნაღდი ფული სალაროში	1100	10	4 038	5 248
ფული საბანკო ანგარიშზე	1200	20	3 532	16 034
მოკლევადიანი ინვესტიციები	1300	30		
მოთხოვნები მიწოდებიდან მომსახურებიდან	1410	40	18 036	19 515
მოთხოვნები მეკავშირის საწარმოს მიმართ	1430	41		
საექვო მოთხოვნების კორექტირება	1415	50		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	60	(43)	(43)
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	1460	70	-	
გადახდილი დღგ	3340	71	-	
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1480	80	-	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1490	90	-	
სულ მიმდინარე აქტივები		100	25 563	40 755
სასაქონლო მატერიალური მარაგები				
საქონელი	1610	110	295	1 126
ნედლეული და მასალები	1620	120	7 087	1 640
დაუმთავრებელი წარმოება	1630	130		
მზა პროდუქცია	1640	140		
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1690	150	2 114	2 057
წინასწარ გაწეული ხარჯები	1700	160		
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	170		
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		180	9 496	4 823
გრძელვადიანი აქტივები				
მიწის ნაკვეთი	2110	190	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა	2120	200		
შენობა-ნაგებობები	2130	210		
მანქანა-დანადგარები	2150	220	38 744	36 082
ოფისის აღჭურვილობა	2160	230	2 754	2 203
სატრანსპორტო საშუალებები	2180	240		
სხვა ძირითადი საშუალებები	2190	250	18 848	22 393
გრძელვადიანი მოთხოვნები	2300	260		
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340	270		
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	280		
არამატერიალური აქტივები	2500	290	531	443
სულ გრძელვადიანი აქტივები:		300	60 877	61 120
სულ აქტივები:		310	95 935	106 698

პასივი	კოდი	კოდი (სტრიქონი)	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	310	6 008,50	12 409,46
მიღებული ავანსები	3120	320		
გადასახდელი ხელფასები	3130	330	8 914	8 625
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3170	331	37,5	38
მოკლევადიანი სესხები	3210	340		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3230	350		
გადასახდელი მოგების გადასახდელი	3310	360	(801)	(801)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	370	2 431	3 189
გადასახდელი დღგ	3330	380		
გადასახდელი ქონების გადასახადი	3350	390		
სოციალური გადასახდელი	3370	400	(370)	(370)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	410	(145)	40
გადასახდელი პროცენტები	3410	420		
გადასახდელი დივიდენდები	3420	430		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190	440		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		450	16 075	23 130
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4100	470		
გადავადებული მოგების გადასახადი	4210	480	2 673	2 673
ანარიცხები	4300	490		
გადავადებული შემოსავლები	4410	491		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220	500		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		510	2 673	2 673
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	5100	520	29 407	29 407
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410	530	33 778	5 196
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	5490	540	6 221	1 588
გაუნაწილებელი მოგება	5310	550	36 505	44 704
დაუფარავი ზარალი	5320	560	(28 723)	-
სულ საკუთარი კაპიტალი		570	77 187	80 895
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		580	95 935	106 698

2013 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

N	N	მაჩვენებლები	თანხა
1	1	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
2	1.1.	ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში +	7 569,38
3	1.2.	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები +	287 998,87
4	1.3.	მიმწოდებელსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები -	(248 590,82)
5	1.4.	გადასახდელი პროცენტები -	
6	1.5.	გადასახდელი გადასახადები -	(27 309,89)
7	1.6.	გაუთვალისწინებელი შემოსავლები +	
8	1.7.	გაუთვალისწინებელი ხარჯები -	-
9		წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	19 667,54
10	2	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
11	2.1.	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით -	
12	2.2.	ძირითადი საშუალებების შეძენა -	(5 982,60)
13	2.3.	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი +	-
14	2.4.	მიღებული პროცენტები +	28,48
15	2.5.	გადასახდელი პროცენტები -	-
16	2.6.	მიღებული დივიდენდები +	-
17		წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5 954,12)
18	3	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
19	3.1.	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად +	-
20	3.2.	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან +	-
21	3.3.	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება -	-
22	3.4.	გადახდილი დივიდენდები -	-
23		წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-
24		ფულადი სახსრების წმინდა ზრდა (შემცირება)	13 713,42
25		ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	21 282,80

2013 წლის ძირითადი საშუალებების მოძრაობა

N	მაჩვენებელი	კოდი	ნაშთი წლის დასაწყისში	მიღებულ ია სულ	გასულ ია სულ	დაერიცხა ცვეთა	ნაშთი წლის ბოლოს
1	2	3	4	5	6		7
1	მიწის ნაკვეთი	10					
3	შენობა-ნაგებობები	20					
4	მანქანა-დანადგარები	30	38 744	585	-	3 247	36 082
5	ოფისის აღჭურვილობა	40	2 754	-	-	551	2 203
6	სატრანსპორტო საშუალებები	50	-				-
7	სხვა ძირითადი საშუალებები	60	19 379	5 398	-	1 941	22 836
8	სულ ძირითადი საშუალებები	70	60 877	5 983	-	5 739	61 121
9	დაუმთავრებელი მშენებლობა	80					-
X	სულ ძირითადი საშუალებები	X	60 877	5 983	-	5 739	61 121

2013 წლის საკუთარ კაპიტალში ცვლილებების წლიური ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გადაფასების რეზერვი	მიღებული რეზერვები	დაგროვილი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	29 407			33 778	36 505	6 221	105 911
ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში				(28 582)	8 199	(4 633)	(25 016)
ნაშთი ცვლილებების შემდეგ	29 407	-	-	5 196	44 704	1 588	80 895
ქონების გადაფასებით მიღებული ნამეტი							-
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული ნამეტი							-
ქონების გადაფასებით მიღებული დანაკლისი							-
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული დანაკლისი							-
სავალუტო კურსთაშორის სხვაობა							-
მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აუდიარებელი წმინდა შემოსულობანი და ზარალი							-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება							-
დივიდენდები							-
სააქციო კაპიტალის გამოშვება							-
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	29 407	-	-	5 196	44 704	1 588	80895

2014 წლის ბალანსი

აქტივი	N	კოდი (სტრიქონი)	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
მიმდინარე აქტივები				
ნაღდი ფული სალაროში	1100	10	5,248	9,182
ფული საბანკო ანგარიშზე	1200	20	16,034	45,223
მოკლევადიანი ინვესტიციები	1300	30		
მოთხოვნები მიწოდებიდან მომსახურებიდან	1410	40	19,515	29,711
მოთხოვნები მეკავშირის საწარმოს მიმართ	1430	41		
საექვო მოთხოვნების კორექტირება	1415	50		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	60	(43)	(43)
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	1460	70	-	
გადახდილი დღგ	3340	71	-	
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1480	80	-	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1490	90	-	600
სულ მიმდინარე აქტივები		100	40,754	84,673
სასაქონლო მატერიალური მარაგები				
საქონელი	1610	110	1,126	789
ნედლეული და მასალები	1620	120	1,640	991
დაუმთავრებელი წარმოება	1630	130		
მზა პროდუქცია	1640	140		
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1690	150	2,057	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	1700	160		
სხვა მიმდინარე აქტივები	1900	170		
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		180	4,823	1,780
გრძელვადიანი აქტივები				
მიწის ნაკვეთი	2110	190	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა	2120	200		
შენობა-ნაგებობები	2130	210		
მანქანა-დანადგარები	2150	220	36,082	32,959
ოფისის აღჭურვილობა	2160	230	2,203	7,641
სატრანსპორტო საშუალებები	2180	240		
სხვა ძირითადი საშუალებები	2190	250	22,393	23,005
გრძელვადიანი მოთხოვნები	2300	260		
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340	270		
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	280		
არამატერიალური აქტივები	2500	290	443	531
სულ გრძელვადიანი აქტივები:		300	61,121	64,136
სულ აქტივები:		310	106,698	150,589

პასივი	კოდი	კოდი (სტრიქონი)	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	310	12,409.46	15,929.00
მიღებული ავანსები	3120	320		
გადასახდელი ხელფასები	3130	330	8,625	13,902
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	3170	331	38.0	38
მოკლევადიანი სესხები	3210	340		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	3230	350		
გადასახდელი მოგების გადასახდელი	3310	360	(801)	2,900
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	370	3,189	4,185
გადასახდელი დღგ	3330	380		
გადასახდელი ქონების გადასახადი	3350	390		
სოციალური გადასახდელი	3370	400	(370)	(370)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	410	40	
გადასახდელი პროცენტები	3410	420		
გადასახდელი დივიდენდები	3420	430		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3190	440		1,492
სულ მიმდინარე ვალდებულებები		450	23,130	38,076
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4100	470		
გადავადებული მოგების გადასახადი	4210	480	2,673	2,673
ანარიცხები	4300	490		
გადავადებული შემოსავლები	4410	491		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4220	500		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		510	2,673	2,673
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	5100	520	29,407	29,407
სარეზერვო კაპიტალი (რეზერვები)	5410	530	5,196	5,143
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	5490	540	1,588	1,628
გაუნაწილებელი მოგება	5310	550	44,704	73,661
დაუფარავი ზარალი	5320	560		-
სულ საკუთარი კაპიტალი		570	80,895	109,839
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		580	106,698.5	150,588.06

2014 წლის მოგებ-ზარალის ანგარიშგება

N	მაჩვენებლების დასახელება	კოდი	შემოსავლები	ხარჯები
1	ამონაგები	10	464,942	X
2	რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულება	20	X	433,689
3	საერთო მოგება (ზარალი)	30	464,942	-
4	კომერციული ხარჯები	40	X	
5	ადმინისტრაციული ხარჯები	50	X	223,185
6	სხვა საწარმოო შემოსავლები	60	1288	X
7	სხვა საწარმოო ხარჯები	70	X	
8	ფინანსური დანახარჯები	80	X	
9	შემოსავლები ფინანსური დაბანდებიდან და პროცენტებიდან	90		X
10	მოგება (ზარალი) ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან	100		
11	გაუთვალისწინებელი შემოსავლები	110		X
12	გაუთვალისწინებელი ხარჯები	120	X	
13	წინა წლების აკუმულირებული ზარალის დაფარვა	121	X	
14	მოგება დაბეგვრამდე	130	32,659	X
15	მოგების გადასახადი	140	3,701	X
16	საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	150	28,958	X

2014 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

N	N	მაჩვენებლები	თანხა
1	1	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
2	1.1.	ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში +	21,282.00
3	1.2.	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები +	454,546.00
4	1.3.	მიმწოდებელსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები -	(352,963.00)
5	1.4.	გადასახდელი პროცენტები -	
6	1.5.	გადასახდელი გადასახადები -	(61,388.00)
7	1.6.	გაუთვალისწინებელი შემოსავლები +	
8	1.7.	გაუთვალისწინებელი ხარჯები -	-
9		წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	61,477.00
10	2	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
11	2.1.	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით -	
12	2.2.	ძირითადი საშუალებების შეძენა -	(7,169.00)
13	2.3.	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი +	-
14	2.4.	მიღებული პროცენტები +	96.00
15	2.5.	გადასახდელი პროცენტები -	-
16	2.6.	მიღებული დივიდენდები +	-
17		წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(7,073.00)
18	3	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
19	3.1.	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად +	-
20	3.2.	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან +	-
21	3.3.	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განადგება -	-
22	3.4.	გადახდილი დივიდენდები -	-
23		წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
24		ფულადი სახსრების წმინდა ზრდა (შემცირება)	40,691.00
25		ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	54,404.00

2014 წლის ძირითადი საშუალებების მოძრაობა

N	მაჩვენებელი	კოდი	ნაშთი წლის დასაწყისში	მიღებულია სულ	გასულია სულ	დაერიცხა ცვეთა	ნაშთი წლის ბოლოს
1	2	3	4	5	6		7
1	მიწის ნაკვეთი	10					
3	შენობა-ნაგებობები	20					
4	მანქანა-დანადგარები	30	36,082	596	-	3,720	32,958
5	ოფისის აღჭურვილობა	40	2,203	6,301	-	863	7,641
6	სატრანსპორტო საშუალებები	50	-				-
7	სხვა ძირითადი საშუალებები	60	23,012	3,136	-		
8	სულ ძირითადი საშუალებები	70	61,297	10,033	-	2,611	23,537
9	დაუმთავრებელი მშენებლობა	80					-
X	სულ ძირითადი საშუალებები	X	61,297	10,033	-	7,194	64,136

2014 წლის საკუთარ კაპიტალში ცვლილებების წლიური ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისი ო შემოსავ ალი	გადაფასე ბის რეზერვი	მიღებულ ი რეზერვებ ი	დაგროვილ ი მოგება	სხვა რეზერვებ ი	სულ
ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	29,407			5,143	44,705	1,588	80,843
ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში					28,959	40	28,999
ნაშთი ცვლილებების შემდეგ	29,407	-	-	5,143	73,664	1,628	109,842
ქონების გადაფასებით მიღებული ნამეტი							-
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული ნამეტი							-
ქონების გადაფასებით მიღებული დანაკლისი							-
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული დანაკლისი							-
სავლუტო კურსთაშორის სხვაობა							-
მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აუდიარებული წმინდა შემოსულობანი და ზარალი							-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება							-
დივიდენდები							-
სააქციო კაპიტალის გამოშვება							-
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბერისათვის	29,407	-	-	5,143	73,664	1,628	109,842